ლ. ჟაბოტინსკი — უძლიერესი

თეირანი, 2 ნოემბერი. **ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით აკორდს წარმოადგენდა საბჭოთა ათლეტის ლ. ჟაბოტინსკის (მძიმე წონა) გამოსვლა. მან მოიპოვა ოქროს მედალი — 552,5 კგ.**

●

გრადეც-კრალოვეს „სპარტაკის“ გამარჯვება

ოდესა, 2 ნოემბერი. აქ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივმა „ჩერნომორეცმა“ მიიღო ჩეხოსლოვაკიის ქალაქ გრადეც-კრალოვეს „სპარტაკი“. სტუმრებმა მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნეს და გაიმარჯვეს — 2:0.

ამ ნომერში

6 მატჩი

გ უ შ ი ნ გაიმართა „ა“ კლასის II ჯგუფის ფეხბურთელთა იმ გუნდების კალენდარული მატჩები, რომლებიც XVII-XXXII ადგილებისთვის იბრძვიან: „დინამო“ (ტალინი) — „ტრუდი“ (ვორონეჟი) 0:1, „ენერგეტიკი“ (დუშანბე) — „ალგა“ (ფრუნზე) 1:3, „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „პოლიტოტდელი“ (ტაშკენტის ოლქი) 1:1, „სპარტაკი“ (გომელი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 1:0, „ლოკომოტივი“ (ვინიცა) — სკა (ნოვოსიბირსკი) 4:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ვოლგა“ (კალინინი) 3:1.

● ქართველმა მოჭიდავეებმა დაამარცხეს ირანელები

I-ლი გვ.

● მოგვითხრობს მ. ტალის მწვრთნელი

მე-3 გვ.



გმირი ციხე-სიმაგრე

სამამულო ომის გმირულ ეპოპეაში ოქროს ასოებით შევიდა ბრესტის ციხე-სიმაგრის უძლეველობის ამბავი. საბჭოთა მეომრების მცირერიცხოვანი ჯგუფი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდა სამშობლოში შემოჭრილი ძლიერი მტრის გზაზე ურყევ კედლად აღმართულ შენობას. ბრესტელთა საგმირო საქმენი ახლა ლეგენდადაა ქცეული და ციხე-სიმაგრის წმიდა ადგილი ყველას იზიდავს.

რამდენიმე თვეს გრძელდებოდა ამ გმირობის აღსანიშნავად გამართული საკავშირო ტურისტული ლაშქრობა „მამების გზა, დიდების გზა“, რომელშიც მონაწილეობდა სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკის ათასობით წარმომადგენელი. ბრესტის ციხე-სიმაგრის გმირობის დღესასწაული ერთად იზეიმეს რუსებმა, უკრაინელებმა, ბელორუსიელებმა, ქართველებმა, აზერბაიჯანელებმა, სომხებმა, ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სხვა წარმომადგენლებმა.

და აი, გუშინწინ ეს ზეიმი ბრწყინვალედ დაგვირგვინდა. ბელორუსიის კომპარტიის ბრესტის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც გაიმართა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, ციხე-სიმაგრეს გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“, რომელიც გმირ ციხე-სიმაგრეს მიენიჭა მისი დამსახურებისთვის სამშობლოს წინაშე და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავად.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ქართველი და ბელორუსიელი ტურისტები ბრესტის სიმაგრის ერთ-ერთ შესასვლელთან.

ფოტო დ. ტერეხოვისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი.

№ 217 (2937) ● ოთხშაბათი, 3 ნოემბერი. 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

გუშინ...

IX ტურში

თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე შედგა IX ტური. ბ. გურგენიძემ მოუგო ა. ბოკუჩავას, რ. ჯინჯიხაშვილმა — ვ. იანსას. ვ. ბალცეროვსკი — რ. ხოლმოვის, ა. ბუსლაევ — ა. ლილიენტალის, ვ. პიტჩ — ა. გიპსლისის, ბ. შოოშ—ა. კოლაროვისა და ი. რადულოვ — ლ. ნავაროვსკის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ორი შეხვედრა (მ. დამიანოვიჩი — რ. ფუქსი და რ. ბოგდანოვიჩი — ვ. ალატორცევი) გადაიდო. შოოშმა VI ტურში გამოტოვებული პარტია ალატორცევთან თავის სასარგებლოდ დაამთავრა. 9 ტურის შემდეგ გურგენიძესა და შოოშს 6,5-6,5 ქულა აქვთ, ხოლმოვს — 6, ლილიენტალსა და ბუსლაევს — 5,5-5,5.

7 : 1

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო მატჩი კლასიკურ ჭიდაობაში ირანისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის. ირანელებმა მხოლოდ მჩატე წონაში შეძლეს წარმატების მოპოვება: მ. ჯემალ-ზადემ დაამარცხა დ. დავითაია. დანარჩენ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს ქართველმა მოჭიდავეებმა: ა. ხარაბაძემ სძლია ა. კუდარის, ო. ეგაძემ — ი. ფარდის, დ. გვანცელაძემ — მ. ფარანგდუსდს, ო. თარგამაძემ — კ. მახჯუბს, ო. ბლიაძემ — ა. გოლმაკანის, კ. ღულუნიშვილმა — ხ. ამირის და ნ. ერემეიშვილმა — ე. ფილაბის. ამრიგად, მატჩის საბოლოო ანგარიშია 7:1.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

2 გოლი 2 წუთში

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 2 ნოემბერი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „როსტსელმაში“ (როსტოვი) 2:1 (0:0).

„ლოკომოტივი“: რუხაძე, იაშვილი, ჩუბინიძე, ონიანი, კიზირია, ძაგანია (ფრიდმანი), მუმლაძე, მაზიაშვილი, ისიანი, ახალკაცი, შაფათავა.

„როსტსელმაში“: სკარლიგინი, აფონინი, ავცინოვი, შევჩენკო, პაშკოვი, ნიკიტუშკინი, კორნეევი, პანჩეხა, იაკოვენკო, კონევსკი, მოსალიოვი.

მსაჯი ს. სეროფიანი (ერევანი).

დუბლიორები — 5:2 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ.

უკვე დიდი ხანია „როსტსელმაში“ ბოლო, 32-ე ადგილზე იმყოფება „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდებს შორის. მას ყველაზე ცუდი მაჩვენებლები აქვს, თუმცა ამ კოლექტივში გამოდიან ფეხბურთელები, რომლებიც ერთ დროს უძლიერესთა ლიგაში თამაშობდნენ როსტოვის სკა-ს შემადგენლობაში (სკარლიგინი, შევჩენკო, მოსალიოვი). თბილისელებმა „როსტსელმაში“ პირველ წრეში მისივე მინდორზე დაამარცხეს — 2:0.

და აი, სწორედ როსტოველთა ამ გუნდმა გაუწია „ლოკომოტივს“ გუშინ ძლიერი წინააღმდეგობა. კიდევ მეტიც: პირველი ტაიმის განმავლობაში სტუმრები თამაშობდნენ კოლექტიურად, კარგი კომბინაციებით და საერთო ინიციატივაც ეპყრათ ხელთ.

ანგარიში გაიხსნა 47-ე წუთზე. ლოკომოტიველთა კარში დაინიშნა საჯარიმო, რომელიც ზუსტი, უძლიერესი დარტყმით შეასრულა იაკოვენკომ — 1:0.

თბილისელებს კარგა ხანს არ გამოსდიოდათ თამაში. ბოლოს, თავდამსხმელებმა გამოძებნეს საერთო ენა და გუნდის შეტევებსაც დასრულებული სახე მიეცა. საპასუხო გოლი 69-ე წუთზე გაიტანა მუმლაძემ, 1 წუთის შემდეგ კი ახალკაცმა ახლო მანძილიდან გაგზავნა ბურთი როსტოველთა კარში, რომელმაც „ლოკომოტივს“ მოუტანა ძნელი გამარჯვება — 2:1.

„სიჭაბუკის თასზე“

ორჯონიკიძეში გუშინწინ დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი „სიჭაბუკის თასზე“. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ უზბეკეთისა და რსფსრ-ს გუნდები. ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმები, რომელთაც უპირატესობა მოუტანა უზბეკეთის კოლექტივს— 4:3. III ადგილზე გავიდა მოსკოვის გუნდი.

„იმედის თასი“ გათამაშდა

ტაშკენტში დამთავრდა „იმედის თასის“ საკავშირო გათამაშება ფეხბურთში ახალგაზრდულ გუნდებს შორის.

I ადგილის ბედი გადაწყდა ლენინგრადისა და უკრაინის გუნდების შეხვედრაში. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით — 1:0. II ადგილზე არიან უკრაინელები, III — უზბეკეთის გუნდი.

საქართველოს ჩემპიონები კრივში (ზედა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ): რ. რატიანი, რ. მუკოიანი, ო. კისიევი, ზ. მაჭავარიანი, ვ. ცერცვაძე; ქვედა რიგში — მ. სვანიძე, მ. მამამთავრიშვილი, ვ. ყველიაშვილი, რ. აკოფოვი, დ. ჩოგოვაძე (შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვერდზე).

ფოტო თვალით

სსრ კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო ტანმოვარჯიშე ნ. კონცოვა დვირზე.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.



ზეიმი „დედა ენის“ სამშობლოში



გორიდან მდინარე ლიახვის ხიდს გასცდებით თუ არა, მარჯვნივ მოასფალტებული გზატკეცილი ქართული „დედა ენის“ ილუსტრირებული ფურცლებით იწყება. მიდიხართ და ერთხელ კიდევ დიდი სიამოვნებით კითხულობთ „დედა ენას“, რომლის ბოლო ფურცელი მისივე შემდგენლის, ცნობილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ი. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმთან თავდება. აქ, მის მშობლიურ სოფელ ვარიანში, ამ დღეებში სახალხო ზეიმი გაიმართა ი. გოგებაშვილის დაბადების 125 წლისთავის აღსანიშნავად.

სტუმრები ჩამოვიდნენ თბილისიდან, რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან და შორეული ლიტვიდანაც. ვარიანელები გულუხვად დახვდნენ ჩამოსულთ. გორისა და ადგილობრივი საშუალო სკოლების მოსწავლეებმა მათ უჩვენეს თავიანთი თვითმოქმედება. სოფლის სპორტულ მოედანზე კი მთელი დღის განმავლობაში არ დამცხრალა საიუბილეო დღეებისადმი მიძღვნილი პაექრობები. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია რაიონში მოწინავე ხელთუბნელ და ვარიანელ კალათბურთელ ვაჟთა შეხვედრამ.

კალათბურთის შემდეგ ქართულმა „საჭიდაომ“ მიიხმო ათლეტები და მაყურებლები. ხელთუბნელმა, არაშენდელმა, ახალდაბელმა, შინდისელმა, საქაშეთელმა და ვარიანელმა სპორტსმენებმა ცეცხლოვანი შერკინებით დიდი სიამოვნება განაცდევინეს დამსწრეთ.

საერთო მოწონება დაიმსახურა შინდისელების გ. თვალიაშვილისა და ი. იმერლიშვილის, ვარიანელ ვ. დოლიაშვილის, ახალდაბელ ა. მარხოზაშვილის და სხვათა გამოსვლებმა.

სურათებზე: მარცხნივ — გ. თვალიაშვილისა (შინდისი) და ა. მარხოზაშვილის (ახალდაბა) შეხვედრის მომენტი; მარჯვნივ — ხელთუბნელ და ვარიანელ კალათბურთელთა შეჯიბრება.

ტექსტი და ფოტო
თ. გაჩეჩილაძისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სპორტ

მრავალმხრივია საბჭოთა სპორტსმენების მარშრუტები ნოემბერში. საზღვარგარეთ გამგზავრების რიცხვით ტონს იძლევიან სპორტის ზაფხულის სახეობის წარმომადგენლები — ფეხბურთელები. ისინი თითქოს მზისა და სითბოს კვალდაკვალ მიისწრაფიან სამხრეთის ქვეყნებში.

რუმინეთში გაემგზავრება სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდი, ბირმაში — უკრაინის ნაკრები, ინდოეთში — რსფსრ-ს ნაკრები. სამხრეთ ამერიკაში ტურნეს ჩაატარებს სსრ კავშირის ნაკრები გუნდი, რომელიც მოივლის ბრაზილიას, არგენტინას, ურუგვაის და ჩილის. ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ფეხბურთელთა მეზობლად — პერუში, მექსიკასა და კუბაში — იმოგზაურებს სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები.

წლიდან წლამდე სულ უფრო ფართო და მტკიცე ხდება სპორტული კონტაქტი სსრ კავშირსა და აფრიკის ახალგაზრდა ქვეყნებს შორის. კენიაში, უგანდაში, სუდანსა და ლიბიაში მიემგზავრება მოსკოვის „ლოკომოტივი“, გვინეაში, მალისა და ნიგერის რესპუბლიკებში — ქუთაისის „ტორპედო“. ხანგრძლივი მგზავრობა ელით ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელებს, რომლებიც ჩავლენ დაგომეაში, კონგოში (ბრაზავილი), ნიგერიაში, კამერუნში, ტოგოში, აფრიკის ცენტრალურ რესპუბლიკაში.

პაკისტანსა და ცეილონში მიემგზავრებიან მინსკის დინამოელები, ირანსა და ერაყში — დონის როსტოვის არმიელები, ლიბანსა და კუვეიტში — ცსკა-ს ფეხბურთელები, იაპონიაში — მოსკოვის ტორპედოელები, უნგრეთში — „ტრუდის“ გუნდი.

და, ბოლოს, დიდ ბრიტან
ქვეყანაში ჩავლენ მოსკოვის „
საინტერესო ტურნირები ე
ოსტატებსაც.
პრაღაში ერთმანეთს შეხვ
ბურთელ ქალთა ნაკრები გუ
ბურთელები. 6-17 ნოემბერს მ
ლათბურთელთა ტრადიციული
პუბლიკებში ტურნეს დაიწყებ
ნაკრები გუნდები. ისინი გამო
გერმანიის დემოკრატიულ რ
ბურთელ ვაჟთა და ქალთა ნაკ
სკოვის „ბურევესტნიკი“.
სერიოზული გამოცდა ელ
გფრ-ში ტარდება ხელბურთელ
ნოემბრის პირველ ნახევარში
რებლად გაფრინდება სსრ კავშ
რიგვების მეორე ნაწილი ჰავან
წვრთნასა და ამხანაგურ შეხვედ
ევროპის თასზე. თასის მფლობ
გამართავენ ნოემბრის ბოლოს,

თასმა მისამართი შეიცვალა

პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭოს თასის გათამაშება მძლეოსნურ მრავალჭიდში პირველად შარშან გაიმართა. მაშინ ძვირფასი ნადავლი ხელთ იგდეს: I ჯგუფში — „სპარტაკის“, ხოლო II ჯგუფში — „უროჟაის“ გუნდებმა.

30-31 ოქტომბერს თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე მოეწყო თასის II გათამაშება. I ჯგუფში გამარჯვებისთვის მებრძოლ კოლექტივებს — „სპარტაკს“, „ბურევესტნიკს“, „ლოკომოტივს“, „ტრუდს“, „ავანგარდსა“ და „დაუგავას“ გამოჰყავდათ 4-4 ათჭიდელი და ამდენივე ხუთჭიდელი. ჩათვლაში შედიოდა 3-3 შედეგი, მათ შორის თითო 1945-46 წლებში დაბადებული ახალგაზრდებისა.

II ჯგუფში ასპარეზობდნენ „კრასნოე ზნამია“, „ენბეკი“, „უროჟაი“, „ალგა“, „ვარპა“ და „ნეფტიანიკი“. აქ ყოველი გუნდის შემადგენლობაში იყო 2 ათჭიდელი და 2 ხუთჭიდელი, რომელთაგან თითო საუკეთესო იძლეოდა ჩათვლას. ამასთან, თითქმის ყველა საზოგადოება წარმოდგენილი იყო 2-2 გუნდით. ტურნირში ძალებს ცდიდნენ პირად პირველობაში მონაწილენიც, რის გამო ასპარეზობაში ჩაება 130-ზე მეტი მრავალჭიდელი.

სამწუხაროდ, ტურნირში, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში მიმდინარეობდა, საქართველოს მხოლოდ 3 სპორტსმენი გამოვიდა. მათგან ერთი — ქუთაისელი, 18 წლის ჯ. ჩუბინიძე „სპარტაკის“ III გუნდის ღირსებას იცავდა, როგორც იუნიორი; თ. როჟმანოვა „ბურევესტნიკის“ II გუნდში გამოდიოდა, ხოლო ი. ჩირიკაშვილი — პირად ასპარეზობაში. „განთიადმა“ საერთოდ ვერ შეძლო მონაწილეთა გამოყვანა, ვინაიდან ამ საზოგადოებაში გუნდის დაკომპლექტება ვერ მოახერხეს. სამწუხარო ფაქტია ისეთი მასპინძლობა, როცა მოედანზე სპორტული ბრძოლის ნაცვლად ტრიბუნებიდან შესცქერი სხვათა ჭიდილს!

სად ხართ, საქართველოს მრავალჭიდელებო?!

ასპარეზობაში არ მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის რამდენიმე ძლიერი მრავალჭიდელი, მაგრამ ბრძოლები მაინც დაძაბული და საინტერესო გამოდგა; განსაკუთრებით ვაჟთა შორის, რომელთაგან ბევრმა საგრძნობლად გადააჭარბა სპორტის ოსტატის ნორმას. განსაკუთრებით კარგად იასპარეზა მოსკოველმა ა. ფანტალისმა („ბურევესტნიკი“), რომელმაც პირადი რეკორდი დაამყარა — 7443.

ქალთა შედეგები უფრო მოკრძალებულია. შეჯიბრების შემდეგ მხოლოდ ხუთს აღმოაჩნდა ქულათა ისეთი რაოდენობა, რომელიც ასე თუ ისე მიუახლოვდა ოსტატობის ზღვარს. თავის უნარზე უარესად გამოვიდა თბილისელი თ. როჟმანოვა. თავის ძირითად სახეობაში — 80 მ თარჯრბენში მან მხოლოდ 11,7 აჩვენა (933 ქულა). ხუთჭიდის ჯამში როჟმანოვამ 3849 ქულა დააგროვა (ბირთვის კვრა — 8,04 მ, 560 ქულა; სიმაღლეზე ხტომა — 145 სმ, 780 ქულა, სიგრძეზე ხტომა — 538 სმ, 844 ქულა; 200 მ რბენა — 27,4 წამი, 732 ქულა) და 30-ე ადგილით დაკმაყოფილდა. რაც შეეხება ქუთაისელ ჯ. ჩუბინიძეს, მან მართალია, პირადი რეკორდი გააუმჯობესა — 3478 ქულა (13,6; 8,90; 150; 5 მ, 28,6), მაგრამ 51-ე ადგილს ვერ აცდა.

და, ბოლოს, ათჭიდში მონაწილე ი. ჩირიკაშვილზე. იგი უდავოდ პერსპექტიული მრავალჭიდელია და ამ შეჯიბრებაში ცდილობდა ალმა-ათაში მოპოვებული მაჩვენებლის (6552 ქულა) გაუმჯობესებას. 9 სახეობის შემდეგ მას 6058 ქულა ჰქონდა (100 მ — 11,9 წამი, 601 ქულა; სიგრძე — 7 მ, 820; ბირთვი — 12,69 მ, 645; სიმაღლე — 185 სმ, 725; 400 მ — 55,3 წამი, 592, 110 მ თარჯრბენი — 17,3 წამი, 637; ბადრო — 38,18 მ, 649; ჭოკი — 350 სმ, 672; შუბი — 52,56 მ, 667) და როცა ნახა, რომ მიზანს ვერ აღწევდა, 1500 მ რბენის სტარტზე აღარ გამოვიდა. საერთოდ, შეიმჩნევა, რომ ჩირიკაშვილი მაინცდამაინც პატივს არ სცემს ათჭიდის ბოლო სახეობას, რაც ადრეც არაერთხელ დაუდასტურებია.

ორდღიანი ასპარეზობის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში თასი დაისაკუთრა „ბურევესტნიკის“ I გუნდმა — 33,846 ქულა. II ადგილზე გავიდა „ტრუდი“ I — 32.461, III — „ავანგარდი“ — 31.847. II ჯგუფში გაიმარჯვა ბელორუსიის „უროჟაიმ“.

ო. გელაშვილი.

• • •

ტექნიკური შედეგები პირად ჩათვლაში: ქალები — 1. მ. გოლუბევა („ტრუდი“, კრასნოდარი) — 4392 ქულა (11.8; 12.52, 156; 573, 24.1). 2. ტ. კურგანოვა („ბურევესტნიკი“, ფრუნზე) — 4333 (11.8; 10.32; 159; 551; 25.7). 3. ნ. ჩალოვა („ტრუდი“, ანგარსკი) — 4331 (12.4; 11.18; 153; 564; 25.1); ვაჟები — 1. ა. ფანტალისი — 7443 (11,0; 715; 14.55; 175; 50.3; 15.6; 42.47, 370; 56.54; 4.23,4). 2. ს. შჩელკოვი („სპარტაკი“, მოსკოვის ოლქი) — 7326 (11.3; 696; 14.94; 175; 51,6; 16.2; 46.17; 350; 60.82; 4.21.4). 3. ი. რუსანოვი („ბურევესტნიკი“, მოსკოვის ოლქი) — 7096 (11.0; 685; 14.30; 170; 52,1; 15,1; 41,85; 360; 57,77; 4.50,6).

ცხინვალის სარბიელზე

აქ გაიმართა „სპარტაკის“ ფრენბურთელ ვაჟთა საქალაქო პირველობა, რომელშიც მონაწილეობდა 10 კოლექტივი. ფინალში მე-6 საშუალო სკოლის მასწავლებელთა გუნდმა ანგარიშით 3:1 დაამარცხა სამხატვრო სასწავლებლის ფრენბურთელები და ზედიზედ მესამედ მოიპოვა „სპარტაკის“ ჩემპიონობა.

• • •

ქალაქის სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრება მძლეოსნობაში ჩატარდა ორ ასაკობრივ ჯგუფად. როგორც უმცროსი, ისე უფროსი ასაკის მოსწავლეთა გუნდებს შორის I ადგილი დაიკავეს მე-2 საშუალო სკოლის მძლეოსნებმა.

• • •

პედაგოგიური ინსტიტუტის მძლეოსანთა პირველობაში ფაკულტეტებს შორის გაიმარჯვა ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტის გუნდმა.

შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს სტუდენტებმა უ. ჯიოევმა, ლ. ტატაევამ, რ. ჯაბიევმა, ვ. კუსრაევმა, ი. ჯიკაევმა, ე. ზოზიროვამ და ქ. ჯიოევამ.

ვ. ჩელქოევი.
(ჩვენი კორ.).

მძლეოსნობა

ერთდროულად სამ როლში

თბილისის მოსწავლე-მძლეოსანთა საშემოდგომო პირველობაში მონაწილეობდნენ დედაქალაქის შვიდივე რაიონის ნაკრები გუნდები და კონკურსგარეშე მოასპარეზე გლდანის სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლები.

შეჯიბრება კარგად ვერ იყო ორგანიზებული. ხშირ შემთხვევაში მწვრთნელები ასრულებდნენ სამ როლს — „საკუთარს“, წარმომადგენლისას და მსაჯისას. ეს გარემოება ზოგჯერ უთანხმოებას იწვევდა გამარჯვებულთა განსაზღვრაში. მსაჯთა კოლეგიას პრიზიორთა დასაჯილდოებლად არ ჰქონდა სიგელები, პროგრამით გათვალისწინებულ ზოგიერთ სახეობაში შეჯიბრება დაგვიანებით დაიწყო (უროს ტყორცნაში, 300 მეტრზე რბენაში და სხვ.). ყოველივე ამან უარყოფითად იმოქმედა შედეგებზე. სპორტსმენებმა დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები მოიპოვეს მხოლოდ სპრინტში და სიგრძეზე ხტომაში (გოგონათა შორის).

17-18-წლიანთა ტურნირში საინტერესო იყო 100 მეტრზე ჭაბუკთა რბენა. ორმა მოიპოვა მოზრდილთა I თანრიგის, ხოლო 10-მა — II თანრიგის შედეგი. ა. ბარსუკოვმა ჯერ კიდევ წინასწარ გარბენში ისახელა თავი, როცა ზუსტად 11 წამი აჩვენა და პირველად შეასრულა I თანრიგის ნორმატივი. ფინალში კიდევ ერთი პირველთანრიგოსანი „დაიბადა“: თ. ნადირაძემ მხოლოდ 0,1 წამით წააგო ბარსუკოვთან ბრძოლაში, რომელმაც ამჯერად დისტანცია გაირბინა 10,9 წამში.

ქალაქის ჭაბუკთა ნაკრებს ესტაფეტაში 4×100 მ 0,2 წამი დააკლდა I თანრიგამდე — 44,2. სიგრძეზე გოგონათა ხტომაში I თანრიგის შედეგით ყველას აჯობა ინტერნატელმა ც. ჩოლიაშვილმა — 554 სმ. გოგონებში აღსანიშნავია აგრეთვე მე-10 სკოლის მერვეკლასელ დ. საბაურის გამარჯვებები ბირთვის კვრაში, ბადროსა და შუბის ტყორცნაში.

16-წლიანებიდან აღსანიშნავია 27-ე სკოლის მეათეკლასელ ვ. გოლეთიანისა (11,3) და მე-9 სკოლის მეათეკლასელ ა. სარქისიანის (11,6) შედეგები 100 მეტრზე რბენაში.

სხვა სახეობებში გამარჯვებულთა უმეტესობა ვერ გასცილდა ჭაბუკთა სათანრიგო მოთხოვნებს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა 26 კომისრის სახელობის რაიონის მოსწავლეთა ნაკრებმა.

ვ. ბუკინი,
I კატეგორიის მსაჯი.

გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები ასეთია: 15-16 წლის გოგონები. 100 მ რბენა — გ. ისმაილოვა (45-ე სკოლის VIII კლასი) — 13,1, 200 მ — ლ. კორკოტაძე (76-ე სკოლის IX კლასი) — 28,7; 300 მ — ო. კოსტრიკინა (მე-13 სკოლის IX კლასი) — 47,4; 80 მ თარჯრბენი — თ. რეფერტი (მე-9 სკოლის IX კლასი) — 13,0; ბირთვის კვრა, ბადროსა და შუბის ტყორცნა — დ. საბაური — 11,98, 32,73 და 31,72; სიგრძე — ნ. გნიოტოვა (115-ე სკოლის IX კლასი) — 492, სიმაღლე — ტ. ტარასევიჩი (65-ე სკოლის IX კლასი) — 130. 17-18 წლის გოგონები. სიგრძე — ი. ხუბაევა (65-ე სკოლის X კლასი) — 505. 15-16 წლის ჭაბუკები. 100 მ — ვ. გოლეთიანი — 11,3, 200 მ — ვ. ეპიმახინი (81-ე სკოლის X კლასი) — 24,7; 400 მ — გ. ემინოვი (52-ე სკოლის X კლასი) — 55,6; 600 მ — ი. იაცკევიჩი (109-ე სკოლის X კლასი) — 1.30,6; 110 მ თარჯრბენი — ვ. როდიონოვი (52-ე სკოლის X კლასი) — 16,0; შუბი — ა. კრიკუნოვი (96-ე სკოლის IX კლასი) — 47,38; ბადრო — ა. ერშოვი (81-ე სკოლის X კლასი) — 40,17; ურო — ი. ჩერკაშინი (103-ე სკოლის X კლასი) — 49,30; ბირთვი — რ. ლომინაშვილი (52-ე სკოლის X კლასი) — 14,61; სიგრძე — თ. ცინცაძე (მე-20 სკოლის X კლასი) — 644; სიმაღლე — ვ. ბეზნედელნი (37-ე სკოლის X კლასი) — 170; ჭოკი — ი. ოგანეზოვი (მე-19 სკოლის X კლასი) — 330. 17-18 წლის ჭაბუკები. 100 და 200 მ — ა. ბარსუკოვი (27-ე სკოლის XI კლასი) — 10,9 და 23,5; 400 და 800 მ — ა. ტეკსტრემი (96-ე სკოლის XI კლასი) — 53,6 და 2.08,0; შუბი — ა. შამშურინი (98-ე სკოლის X კლასი) — 52,87; სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომა — ა. კარგიშვილი (მე-6 სკოლის XI კლასი) — 175 და 630; სამხტომი — ა. ბაბაევი (72-ე სკოლის X კლასი) — 13,33; ჭოკი — მ. თათევოსიანი (115-ე სკოლის IX კლასი) — 350.

ვეტერანები უზიარებენ გამოცდილებას

თბილისის დოსააფის საქალაქო კომიტეტმა ამას წინათ მოაწყო სამამულო ომის ვეტერანთა — თადარიგის ოფიცრების შეხვედრა წვევამდელებთან. აქ მოვიდნენ პოლკოვნიკი მ. ხურცილავა, დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, პოლკოვნიკი პ. კუპატაძე, პოლკოვნიკი ო. მუსერიძე, პოლკოვნიკი მ. ჩიქობავა, I რანგის კაპიტანი ა. შევარდნაძე, პოდპოლკოვნიკი ხ. შუმილინი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ტყვიით სროლაში, კაპიტანი პ. ლეკიშვილი და სხვ.

წვევამდელებს ისინი ესაუბრნენ საბჭოთა არმიის დიდების გზაზე, გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება, რის შემდეგ დიღმის სასროლეთზე მოეწყო ორი თაობის ამხანაგური მატჩი სროლაში.

* * *

სურათზე: პ. ლეკიშვილი წვევამდელებს აცნობს სროლის შედეგებს.
ფოტო ე. ბელაშოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოემბერი

ი ვიზიტის 20 წლისთავზე ამ
ლები.
ლათბურთისა და ხელბურთის

ა და ჩეხოსლოვაკიის კალათ-
მგზავრებიან რსფსრ-ს კალათ-
ბელგრადისა და მოსკოვის კა-
ემბერს ბალტიისპირეთის რეს-
ლათბურთელ ვაჟთა და ქალთა
სა და ტალინში.
გამართავენ ლატვიის ფრენ-
ოლო ჩეხოსლოვაკიაში — მო-

ურთელებს. 4-15 ნოემბერს
პირველობა.
მასპინძლებთან მატჩის ჩასატა-
რები. უძლიერეს საბჭოთა მოკ-
ლ სპორტსმენებთან ერთობლივ
რივეთა წინასწარი შეჯიბრებები
სპორტსმენები პირველ მატჩს
ლთათმნის ფრანგ ოსტატებთან.

27-28 ნოემბერს ვილნიუსში შედგება მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ლიტვის, ლატვიის, ბელორუსიის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები.

რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრასა და ტურნეში მიიღებენ მონაწილეობას საბჭოთა მოჭიდავეებიც. ირანში მიემგზავრება თავისუფალი სტილის ათლეტთა ნაკრები, ბულგარეთში — სსრ კავშირის უძლიერესი გუნდები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. ნოემბრის ბოლოს კლასიკური სტილის საბჭოთა მოჭიდავეები მონაწილეობას მიიღებენ ჩეხოსლოვაკიის ღია ჩემპიონატში. საბჭოთა სპორტსმენებთან სტუმრად ჩამოვლენ პოლონეთისა და ბულგარეთის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები კოლექტივები.

14-22 ნოემბერს მოსკოვსა და ლენინგრადში შედგება წყალბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ბელგიის, უნგრეთის, გდრ-ის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის გუნდები.

კალენდრის „ორბიტაზე“ გამოდის სპორტის ზამთრის სახეობებიც. საბჭოთა კავშირის ფიგურისტები გამოვლენ ორ საერთაშორისო ტურნირში — გდრ-სა და ჩეხოსლოვაკიაში (ტრადიციული ასპარეზობა „პრაღის ციგურებზე“). თვის ბოლოს ჩეხოსლოვაკიაში გაიმართება ძველი მეტოქეების — მსოფლიოს ორი უძლიერესი გუნდის — სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების შეხვედრები.

საქართველოს ფალავანთა შეხვედრები

◆

კამბოჯასა და ინდონეზიაში

საერთაშორისო სპორტულ შეხვედრებში აქტიურ მონაწილეობას განაგრძობენ, კერძოდ, ქართველი სპორტსმენებიც.

ჭიდაობის მოყვარულნი მიმდინარე თვეს თბილისში იხილავენ ბულგარეთის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გამოსვლებს. ეს შეხვედრა ნავარაუდევია ნოემბრის შუა რიცხვებისთვის. მანამდე კი უძლიერესი ქართველი მოჭიდავეები — მსოფლიოს ჩემპიონი გურამ სალარაძე, სსრ კავშირის ჩემპიონები ზარიბეგ ბერიაშვილი და შოთა ლომიძე — სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრებად გაემგზავრებიან ირანისკენ.

სოციალისტური ქვეყნების დინამოელთა ასპარეზობაში, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიმართება, საბჭოთა ძიუდოისტთა რიგებში იქნებიან ევროპის ჩემპიონი ანზორ კიკნაძე, აგრეთვე დურმიშხან ბერუაშვილი, გოდერძი ნონიკაშვილი და სხვ.

საქართველოს ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდები ესტუმრებიან კამბოჯასა და ინდონეზიას.

ძალთა პირველი მოსინჯვა...

ა. კობლენცი

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი

„რას ნიშნავს პარტიისთვის მზადება?“ — ამ კითხვით ხშირად მოგვმართავენ ჭადრაკში ნაკლებად გარკვეული მოყვარულები. „განა უფრო იოლი არ არის, უბრალოდ მიუჯდე დაფას და ყოველგვარი ფილოსოფიის გარეშე შეუდგე ჭადრაკის თამაშს?“.

როგორ გეკადრებათ! დიდოსტატებისა და ოსტატების პარტიების ბედი დიდადაა დამოკიდებული მათთვის სწორ მზადებაზე.

უეჭველია, რომ ბორის სპასკი და მიხეილ ტალი გულმოდგინედ ფიქრობდნენ ბრძოლის ტაქტიკაზე ჯერ კიდევ... პირველი სვლის გაკეთებამდე. საიდან ვიწყებთ ასეთ შემთხვევებში? პირველ ყოვლისა, ვკრებთ მეტოქის მიერ ბოლო წლებში ნათამაშევ ყველა პარტიას. ამ მასალის საფუძველზე ვისწრაფვით წარმოდგენა შევიქმნათ მოწინააღმდეგის გემოვნებაზე და სტილის ნაკლოვანებებზე, დაწვრილებით ვსწავლობთ მის სადებიუტო რეპერტუარს. ასე თანდათანობით იქსება ჩვენი მომავალი „მტრის“ „ავადმყოფობის ისტორია“.

შემდგომში ამოცანაა გამოვიცნოთ რა დებიუტს შეარჩევს მეტოქე ჩვენს წინააღმდეგ. მართალია, ზოგჯერ ეს ამაო მარჩიელობა გამოდის. მაგრამ ხშირად საოცრად ზუსტად გამოიცნობენ ხოლმე მოწინააღმდეგის მიერ შერჩეულ ვარიანტს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მატჩების თამაშისას და სწორედ პირველი პარტიის დაწყებამდე: თუ შეძლებთ მეტოქის გაბრუებას დაწყებისთანავე, იგი უკვე ტრავმირებულია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ეს კი უკვე ნახევარი გამარჯვებაა.

უნებლიეთ მახსენდება ჩემი ძიებანი მ. ბოტვინიკ — მ. ტალის 1960 წლის მატჩის წინა დღის. მე ვითვალისწინებდი, რომ ბოტვინიკი პირველ პარტიაში გამარჯვებას ერთობ დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს და ამიტომ მიმაჩნდა, რომ იგი შეეცდებოდა ერთბაშად „მოეკლა“ გამოუცდელი მეტოქე მწვავე სადებიუტო ვარიანტში. გავითვალისწინე ბოტვინიკის საერთო სადებიუტო „გემოვნებანიც“ და უკვე აღარ მიძნელა იმის მიხვედრა, რომ ბოტვინიკი ყურადღებას ფრანგულ დაცვაზე შეაჩერებდა. და თანდათანობით მივაკვლიე გლიგორიჩ — პეტროსიანის უცნობ პარტიასაც.

მე, რა თქმა უნდა, პრეტენზიას არ ვაცხადებ ვოლფ მესინგობაზე, მაგრამ ღიმილით არ შემიძლია გავიხსენო, თუ როგორ შევედი პარტიის დაწყებამდე 3 საათით ადრე ჩემს „აღსაზრდელთან“ და ვუთხარი:

— მომისმინე, მიშიკო! მოდი, ეს პარტია ნახე. მგონია, რომ ბოტვინიკი სწორედ ამ ვარიანტს ითამაშებს.

მიხეილმა გაოცებით შემომხედა, შემდეგ კი სასწრაფოდ, ხმის ამოუღებლად გავითამაშეთ სვლები. ეს ვარიანტი თუმცა არ შეგვისწავლია, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი იყო, რომ ტალმა სწრაფად გაითამაშა დებიუტი და შექმნა შთაბეჭდილება: „ყველაფერი ვიცი!“

როგორც მატჩის შემდგომმა მსვლელობამ გვიჩვენა, ამ პარტიას (რომელიც, სხვათა შორის, ტალის გამარჯვებით დამთავრდა) დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ბოტვინიკი დათრგუნვილი იყო, რომ მისი იდუმალი იარაღი ბლაგვი აღმოჩნდა, და თავის ერთ-ერთ მეგობარს სასოწარკვეთით გაუტყდა:

— ამ ბიჭთან შეუძლებელია თამაში. იგი ყველაფერს ხედავდა და რაც უფრო საშინელია — ყველაფერი იცის!

ამ მაგალითიდანაც ჩანს: ყველაფერი ისე იოლი როდია, როგორც პირველი შეხედვით გვეჩვენება.

რა გვიჩვენა სპასკის „ანალიზმა“? მისი სადებიუტო რეპერტუარი არც ისე ფართოა, მაგრამ რასაც თამაშობს, უწვრილმანეს დეტალებამდე აქვს შესწავლილი — დებიუტიდან შორეულ მიტელშპილამდე, ხან ენდშპილამდეც კი!

მეფის პაიკის სვლაზე შავებით იგი უპასუხებს e7—e5, ან სიცილიურ დაცვას მიმართავს. რაკი ვითვალისწინებდით, რომ ტალი თეთრებით თითქმის ყველა პარტიას იგებს, ან, როგორც მას უყვარს ხოლმე ხუმრობით თქმა, „იძლევა შამათს!“, უნდა გვევარაუდა, რომ პირველ პარტიაში სპასკი ვერ გაბედავდა სიცილიურის გამოყენებას.

ესპანურში კი მისი საიმედო იარაღია სმისლოვის სისტემა. მაგრამ, როცა ტალის პარტიებს სწავლობდა, სპასკიმ ალბათ შეამჩნია, რომ რიგელი ამ ვარიანტში თეთრებით მაინც ხანგრძლივ პოზიციურ უპირატესობას იღებს. ეს ტიპიური „ესპანური“ უპირატესობა ჯერ კიდევ არ არის გამარჯვება. მაგრამ არც, ასე ვთქვათ, აღნიშნულ „რბილ ორმაგ ნელსონში“ ყოფნაა მაინცდამაინც სასიამოვნო. ამიტომ სპასკიმ გადაწყვიტა აერჩია მარშალის საგამბიტო ვარიანტი, სადაც თამაში „ყველაფერზე“ მიდის!

ეს ტალისთვის მოულოდნელობა არ იყო, ვინაიდან აღნიშნული ვარიანტი სპასკიმ რამდენიმე საპასუხისმგებლო ასპარეზობაში გამოიყენა, კერძოდ, მსოფლიოს პირველობაზე ზონალურ ტურნირში შტეინთან ორთაბრძოლისას.

ამას გარდა, ესპანური პარტიის მიმდევარი მოჭადრაკე ამ უჩვეულოდ ძნელ ვარიანტში მძიმე ბრძოლების გადასატანად უნდა იყოს მზად.

ამრიგად, როგორც ხედავთ, მოულოდნელობა არ ყოფილა იმის გარდა, რომ სპასკიმ მე-18 სვლაზე საგულისხმო თეორიული სიახლე შემოგვთავაზა. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ...

ახლა კი ვნახოთ პარტია ტალი — სპასკი. **1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 0—0 8. c3 d5 9. ed მ:d5 10. მ:e5 მ:e5 11. ე:e5.** აი, ძირითადი პოზიცია. თეთრებმა მოიგეს პაიკი, მაგრამ, როგორც ახლა ვნახავთ, მალე შავები უკუაგდებენ თეთრების ძალებს და მეტოქეს აიძულებენ დაცვაზე გადასვლას. მაგრამ თეთრები თანახმანი არიან „იწვალონ“ — პაიკი მაინც ხომ ზედმეტი აქვთ!

11. ... c6 12. d4 კd6 13. ეe1 ლh4 14. g3 ლh3 15. კe3 კg4 16. ლd3 ეae8.

თუ გახსოვთ, სპასკი — გელერის მატჩში გამოსცადეს 16. ... მ:e3 და c7—c5, მაგრამ შავებმა განსაკუთრებულ წარმატებას ვერ მიაღწიეს.

17. მd2 ეe6 18. a4. აქამდე ყველაფერი „უკანასკნელი მოდის“ მიხედვითაა. აქ ჩვეულებრივ თამაშობდნენ 18. ... ba, მაგრამ შავებმა მოამზადეს სიახლე: **18. ... ლh5** სვლის იდეაა გაამაგრონ პუნქტი d5, რომელიც ხშირად „იმსხვრევა“.

19. ab ab 20. c4. ოსტატმა გიპსლისმა შემოგვთავაზა 20. მf1. ეს სვლა ნაკლებ „ვალდებულებას“ გაკისრებინებს, მაგრამ მაინც პასიურია. ტალს ასეთი სვლები არ უყვარს.

20. ... bc! სპასკის 50 წუთი დასჭირდა ამ სვლის მოსაფიქრებლად. რაზე ფიქრობდა? სხვათა შორის, ეს საინტერესო პრობლემაა საერთოდ მეცნიერული კვლევისთვის. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ანეკდოტური შემთხვევა, რომელიც პოლონელ მოჭადრაკე სალვეს გარდახდა: დამარცხების შემდეგ იგი არ ამდგარა და ღრმად დაფიქრებული უჯდა ჭადრაკის დაფას. „რაზე ფიქრობდით, მაესტრო?“ — ჰკითხეს მას, როცა, ბოლოს და ბოლოს, ადგა. „ვფიქრობდი, თუ რას იტყვიან ხვალ ვარშავაში!“. მაგრამ ამ პოზიციაში ჩვენ შევძელით გამოგვეაშკარავებინა, რომ სპასკი ფიქრობდა: ღირს თუ არა თეთრი ლაზიერის შეწირვის დაშვება შემდეგ ვარიანტში: 20. ... კf5 21. ლe2 კg4 22. cd კ:e2 23. de fe 24. კ:e6+. მაგრამ მას არ მოსწონდა მთელი ვარიანტი: 25. ეac1 შემდეგ. საინტერესოა, რომ ტალიც ითვლიდა ამ ვარიანტს, მაგრამ 25. ეac1 ნაცვლად აპირებდა 25. d5 და კd4-ის თამაშს.

21. მ:c4 კb4 22. ეec1 კe2 23. კd1 ლ:h2+

როცა პარტიის დამთავრების შემდეგ ჩვენ სპასკისთან ერთად დავბრუნდით სასტუმროში, იგი ამბობდა, რომ ტყუილად შეეჩნდა „ეშმაკი“ მოგებაზე სათამაშოდ, თუმცა ნათლად ხედავდა, რომ 23. ... კ:d3 24. კ:h5 კ:c4 25. ე:c4 მ:e3 26. fe კd2 შემდეგ შეიძლებოდა ყაიმზე დათანხმება.

24. მფ:h2 კ:d3 25. მe5 კb5 26. კb3 ეd8 27. ეa7! f6.

რა თქმა უნდა, შავებს ვერ აკმაყოფილებს 27. ... ეf8 პასიური თამაშით.

28. მ:c6. პრეს-ცენტრში ჟურნალისტთა უმრავლესობა დაეთანხმა რიგელ ოსტატ ა. პეტერსონს, რომ ამ ეფექტური დარტყმის ნაცვლად უფრო ძლიერი იქნებოდა: 28. ეd7! ე:d7 29. მ:d7. ღამით ჩვენ დიდხანს ვუკეთებდით ანალიზს პოზიციას. ნაღდი მოგება ვერ ვნახეთ, მაგრამ ერთი რამ ზუსტია: სპასკის მოუხდებოდა ხანგრძლივი „წამება“. სამაგალითო ვარიანტი შემდეგია: 29. ... ეd6 30. მb6 ეd8! 31. კf4 მფf8 32. მ:d5 ან კიდევ 32. კ:d5 cd 33. კc7 ეe8 34. მ:d5 კd2 და ა. შ.

მაგრამ ტალი გაიტაცა აზრმა, რომ შავებმა შესაძლოა ითამაშონ: 28. ... ე:c6, რაზეც მან მოამზადა: 29. ეa8! ეcd6 30. ეcc8 კa5 31. ე:d8+ კ:d8 32. კf4 ეd7 33. კc7! პარტიის მსვლელობა იქნებ აღელვებდა კიდეც მაყურებლებს, მაგრამ იგი ყაიმისკენ მიდის, დანარჩენი კი იოლი გასაგებია.

28. ... კ:c6 29. ეa6 მფf8 30. ეa:c6 ე:c6 31. ე:c6 მ:e3 32. fe კd2 33. კc4 კ:e3 34. d5 კd2! 35. ეb6 მფe7 36. ეe6+ მფf8 37. g4. ყაიმი.

შინაარსიანი პარტიაა!

ს უ რ ა თ ზ ე: მ. ტალი და ბ. სპასკი მატჩის საზეიმო გახსნისას...
ფოტო მ. ზარგარიანისა.

ლამაზი და ტექნიკური ფინალი

თბილისში, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დამთავრდა საქართველოს მოკრივეთა პირადი პირველობა, რომელშიც სამოცამდე ოსტატი და პირველთანრიგოსანი იბრძოდა რესპუბლიკის ჩემპიონის საპატიო წოდებისთვის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, სოხუმის, ფოთის, ბათუმისა და ახალციხის წარმომადგენლები.

პირველი დღის ასპარეზობაში გამარჯვებულნი გამოვიდნენ თბილისელები რ. მუკოიანი, ჯ. ცერცვაძე და ბ. ზატიკიანი. ქუთაისელთაგან წარმატებას მიაღწიეს თ. ნაგკოევმა, ზ. მაჭავარიანმა, ვ. სვანიძემ და ჯ. კვანტალიანმა. კარგი სტარტი აიღეს აგრეთვე ვ. პაპანდოპულომ (სოხუმი), ა. ურუმიანმა (ბათუმი) და სხვ.

კრივის გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია სპორტის ოსტატების ჯ. ცერცვაძისა და ჯ. კვანტალიანის ორთაბრძოლამ. შეჯიბრების პირველ დღეს ორივემ მოიგო შეხვედრა: ცერცვაძემ პირველ რაუნდში დაამარცხა ფოთელი ე. მალი, ხოლო კვანტალიანმა საინტერესო ასპარეზობაში სძლია სოხუმელ ვ. ერმიშკინს. მეტოქეები ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც კვლავ წარმატებას მიაღწიეს: თბილისელმა ლამაზი სტილით მოუგო ფიზიკურად ძლიერ ი. გვაჯავას (სოხუმი), ხოლო ქუთაისელმა — ა. ურუმიანს (ბათუმი).

ფინალური ბრძოლა საინტერესო და დაძაბული გამოდგა. იგი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა იყო. სისწრაფე, მანძილის გრძნობა, გააზრებული და ტაქტიკური მანევრირება — ყოველივე ამას აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი.

დასაწყისში მეტოქეები ერთმანეთს ზვერავდნენ, მაგრამ რაუნდის ბოლოს ახლო ბრძოლის ტაქტიკა აირჩიეს. წარმატებას ვერც ერთმა ვერ მიაღწია. მომდევნო რაუნდში ბრძოლა უფრო გამწვავდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ უხეშობას არც აქ ჰქონია ადგილი. შეხვედრის ბედი ფაქტიურად მესამე რაუნდში გადაწყდა: ცერცვაძემ ეს მძაფრი პაექრობა თავის სასარგებლოდ დაამთავრა. სასიხარულოა, რომ ჯ. კვანტალიანი თავის ადრინდელ სპორტულ ფორმას იბრუნებს.

სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ზ. მაჭავარიანის, რ. რატიანის (თბილისი) და მისი თანაგუნდელის, პირველთანრიგოსან თ. კისიევის გამოსვლები. პირველმა მოუგო სოხუმელ სპორტის ოსტატ ვ. პაპანდოპულოს, მეორემ — ფოთელ გ. ვავილოვს, ხოლო მესამემ — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს მოკრივე გ. ვარდანიანს და პირველად გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი.

დანარჩენ წონებში ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს: რ. მუკოიანმა (თბილისი), მ. სვანიძემ (ქუთაისი), ვ. ყველიაშვილმა (თბილისი), მ. მამამთავრიშვილმა და დ. ჩოგოვაძემ (ორივე — თბილისი).

პარალელურად ჩატარდა ჩემპიონატი ახალგაზრდა მოკრივეთა შორის, სადაც I ადგილები დაისაკუთრეს ე. გზირიანმა (სოხუმი), შ. გევორქიანმა (თბილისი), ვ. პობედინსკიმ (ბათუმი), ნ. სკორნიაკოვმა და დ. ყიფიანმა (ორივენი — თბილისი).

ე. ქელბაქიანი.

საბჭოთა ორჭიდელები სეზონის გახსნის წინ

ტას-ის კორესპონდენტის თხოვნით სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი სათხილამურო ორჭიდში ე. რუდკოვსკი მოგვითხრობს უძლიერესი საბჭოთა ორჭიდელების მზადებაზე.

ორჭიდელთა ახალი სეზონის ცენტრალურ მოვლენად, უდავოდ, მსოფლიო ჩემპიონატი მოგვევლინება. იგი გაიმართება ჰოლმენკოლენში 1966 წლის თებერვალში. საბჭოთა ორჭიდელებს ახლაც კარგად ახსოვთ ნორვეგიის ეს პატარა ქალაქი, თუმცა იქ მიღებული შთაბეჭდილებანი არც თუ ისე საამოა მათთვის. შარშან მარტში იქ გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება, სადაც ვ. დრიაგინმა, ნ. კისელიოვმა და ე. ლოვინოვმა დაიკავეს შესაბამისად მე-8, მე-17 და 32-ე ადგილები.

არ დავმალავ, ჩვენ უკეთესად ვაპირებდით გამოსვლას და საამისოდ, თითქოს, ყველა საფუძველი გვქონდა. სეზონის პირველი სტარტები საკმაოდ დამაიმედებელი იყო. კავგოლოვოს გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ი. სიმონოვმა, ე. ლოვინოვმა, ნ. გუსაკოვმა და ვ. დრიაგინმა ძლიერი კონკურენციის პირობებში 4 პირველი ადგილი დაიკავეს; იანვარში კი ლებრასიუში (შვეიცარია) ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ი. სიმონოვი II იყო, ნ. კისელიოვი კი—III.

როგორ შევაფასოთ ჰოლმენკოლენის შარშანდელი მარცხი, შემთხვევითი ხომ არ იყო იგი?

რასაკვირველია, სკანდინავიის ამინდმა, ნულოვანმა ტემპერატურამ, გაკრიალებულმა ნათხილამურევმა რბოლაშიც და ტრამპლინზეც, ძლიერმა ქარმა და ნისლმა მთელი ჩვენი კარტები არივდარია.

საიდუმლოება არ გახლავთ, რომ კარგ ამინდში ჩვენი ორჭიდელები გაცილებით უკეთ გამოდიან. ეს ადვილი ასახსნელია. ჩვენები ჩვეულებისამებრ ურალში ვარჯიშობენ. აქ თითქმის მუდამ არის კარგი ამინდი, თოვლი, მცირე სუსხი... ერთი სიტყვით, აქ ვარჯიში მუდამ სასიამოვნოა. სამწუხაროდ, გამარჯვების მოსაპოვებლად მხოლოდ ეს აშკარად უკმარია.

არის შარშანდელი მარცხის კიდევ ერთი ობიექტური მიზეზი. საბჭოთა სპორტსმენები ჰოლმენკოლენის შეჯიბრებაში ისე ჩაებნენ, რომ ერთი დღეც არ დაუსვენიათ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის შემდეგ. მათ გამოსვლა მოუწიათ, ასე ვთქვათ, „ბრმად", — ვერც რბოლის ტრასისა და ვერც ტრამპლინის „მოსინჯვა" ვერ შეძლეს.

სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავთ, რომ ჩვენმა ახალგაზრდა სპორტსმენებმა, რომლებიც საკავშირო ჩემპიონატში არ გამოსულან, დიდი წარმატება მოიპოვეს ფინეთის ქალაქ ლაჰტიში მარტში გამართულ შეჯიბრებაზე: 22 წლის ვ. ლაპომ III ადგილი მოიპოვა, 24 წლის ვ. ერმოლენკომ კი — IV.

და მაინც, ჩვენი შარშანდელი მარცხი შემთხვევითობად არ მიმაჩნია და აი, რატომ. უძლიერეს საბჭოთა და საზღვარგარეთელ სპორტსმენთა ტექნიკური ოსტატობის დონეში არსებობს გარკვეული ზღვარი. როგორც წესი, ჩვენი სპორტსმენები საზღვარგარეთელ კოლეგებთან 1,5-2 ქულას აგებენ ხტომებში სტილის მიხედვით, ხოლო ნახტომის სიგრძეში — 1-2 მეტრს. რბოლაში ჩვენი დეფიციტი 1-2 წუთია, ხოლო არახელსაყრელი ამინდის პირობებში ეს ჩამორჩენა კიდევ უფრო აშკარა ხდება.

წლევანდელ სეზონში ჩვენი საუკეთესო სპორტსმენები პოლარული წრის იქით — კიროვსკში ივარჯიშებენ. იქაური ამინდი ცოტათი განსხვავდება სკანდინავიურისაგან. როგორც ამბობენ, რაც უარესია — მით უკეთესია.

ძირფესვიანად შეიცვალა საწვრთნელი ვარჯიშებიც. შემოდგომა-ზაფხულის პერიოდში წვრთნის მოცულობა და ინტენსიურობა შარშანდელთან შედარებით დაახლოებით მესამედით გაიზარდა. ვცდილობდით სპორტსმენები ფიზიკურად კარგად მოგვემზადებინა. ამისთვის წვრთნაში შევიტანეთ 30-კილომეტრიანი კროსები, ველოსიპედი, სიმძიმეებით ვარჯიში, აგრეთვე ტანვარჯიში, აკრობატიკა და ბატუტზე ვარჯიშები.

ყველაზე დიდი ყურადღება მივაქციეთ ტექნიკას. კოშკიდან წყალში ხტომა, ხელოვნური ტრამპლინიდან წყალში ხტომა, ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინიდან ხტომა, იმიტაციური ვარჯიშები, გორგოლაჭებიანი თხილამურებით რბენა... ყოველივე ამან თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ყოველდღიურ წვრთნაში.

ვფიქრობ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ჩვენი სპორტსმენები კარგ ფორმაში იქნებიან. ამ ასპარეზობის დაწყებამდე ისინი 15-ზე მეტ საერთაშორისო და საშინაო შეჯიბრებაში გამოვლენ. იმისთვის, რომ არ გადავტვირთოთ ჩვენი წამყვანი ოსტატები, ეროვნულ ჩემპიონატს მსოფლიოს პირველობის შემდეგ გავმართავთ.

ახლა ძნელია იმ შემადგენლობის დასახელება, რომელიც ნორვეგიაში გაემგზავრება. დავასახელებ ნაკრების მხოლოდ რამდენიმე კანდიდატს, რომელთა გაგზავნა ყველაზე უფრო ნაღდია.

25 წლის ვ. დრიაგინი გამოცდილი და ტექნიკურად კარგად მომზადებული სპორტსმენია. რამდენადმე უკეთ გამოდის ტრამპლინზე.

მისი თანატოლი ი. სიმონოვი გამარჯვებისადმი დიდი სწრაფვით გამოირჩევა. ორივე სახეობაში თანაბრად ასპარეზობს.

ზამთრის უკანასკნელი ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ნ. კისელიოვი წარსულში „სუფთა" მხტომელი გახლდათ. მაგრამ ინსბრუკში წარმატების შემდეგ მას რბოლებისადმიც „გაეხსნა მადა". ბოლო ხანს იგი დაჟინებით ვარჯიშობს და სტაბილურად უჩვენებს მაღალ შედეგებს.

კიდევ ერთს დავასახელებ. ესაა ა. პესტოვი. თუმცა ისიც 25 წლისაა, მაგრამ ცოტა ხნის წინათ მას ბევრი არ იცნობდა. ანატოლი მეტად პერსპექტიული სპორტსმენია და სათხილამურო ორჭიდის ორივე სახეობაში მაღალ ტექნიკას ფლობს.

ჩვენი სპორტსმენების ყველაზე სახიფათო მეტოქეები იქნებიან გამოცდილი ნორვეგიელი სპორტსმენები ტ. კნუტსენი და ბ. ვირკოლა. სიურპრიზია მოსალოდნელი მათი ახალგაზრდა თანამემამულეებისაგან — მ. დოვბლუხისა და მ. სვენსენისგანაც. შარშანდელმა სტარტებმა დაგვანახა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი გ. ტომა კვლავინდებურად რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ორჭიდელად. ფავორიტების რიცხვში იქნებიან კ. ალფონსი (შვეიცარია) და დ. რაინერი (გდრ). ჰოლმენკოლენში უდავოდ გამოვლენ ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენებიც, რომელთა სახელები ჯერ უცნობია ჩვენთვის.

„ბედნიერი ბილეთების მფლობელნი"



— ჩვენი თავი ლატარიის ბედნიერი ბილეთების მფლობელებად მიგვაჩნია,— გვითხრა საერთაშორისო ოსტატმა, იუგოსლავიელმა რაიკო ბოგდანოვიჩმა. — ერთის მხრივ, ვეცნობით თქვენს მშვენიერ ქვეყანას და, მეორეც, საშუალება გვაქვს დავესწროთ ისეთ განუმეორებელ ორთაბრძოლას, როგორიც ტალ—სპასკის მატჩია.

ეს სიტყვები ნათქვამი იყო ავტობუსში, რომლითაც თბილისის ვაჟთა I საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მონაწილენი მცხეთას მიემგზავრებოდნენ. ფოტოგრაფიის დიდი მოყვარული, საერთაშორისო ოსტატი ვოლფგანგ პიტჩი (გდრ) თავისი კოლექციის გასამდიდრებლად მხედველობიდან არ უშვებდა არც ერთ ხელსაყრელ შემთხვევას და მძღოლს წამდაუწუმ აჩერებინებდა მანქანას.

ჯვრის მონასტერმა სტუმრებზე განუზომლად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თითქმის ყველა მათგანმა კარგად იცის რუსული ლიტერატურა, — მყისვე მოიგონეს ლერმონტოვის „მწირი". რა არ გაახსენა ჩვენს სტუმრებს კავკასიონის დათოვლილი მთების დანახვამ: აივარ გიპსლისმა გაიხსენა მთებში მდებარე სიგულდა, რომელიც ესოდენ უყვართ ლატვიელებს, რაინჰარდ ფუქსს მოაგონდა „საქსონიის შვეიცარია", რომელიც ქალაქ დრეზდენის მახლობლადაა, ბოგდანოვიჩმა კი გვითხრა:

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ჩემს მშობლიურ ქალაქ სარაევოდან გამოვდივარ და ბოსნია-ჰერცეგოვინის მთებისკენ მივემგზავრები.

ჯვრის მონასტრის დათვალიერების შემდეგ ჩვენი სტუმრები საქართველოს ძველ დედაქალაქს ეწვივნენ. უნგრელ ოსტატ ნავაროვსკის გავახსენეთ, რომ ოდესღაც ამ ადგილებში დააბიჯებდნენ რომაელი სარდლის გნეუს პომპეუსის ლეგიონერები, არაბები, მონღოლები, სპარსელები, თურქები, და ვინ მოსთვლის, კიდევ ვინ...

სვეტიცხოველი, ქართული ხუროთმოძღვრების ეს დიდებული ძეგლი, სტუმრებმა უდიდესი ყურადღებით დაათვალიერეს.

—ყვავილებით შემკული ქალაქი მცხეთა სამუდამოდ გვემახსოვრება, — ამბობდნენ ისინი.

შემდეგ კი „ლატარიის ბედნიერი ბილეთების მფლობელნი" თბილისში დაბრუნდნენ, „შეისწავლეს" შამპანური ღვინოების ქარხანა, საღამოთი კი დაესწრნენ საჭადრაკო ხელოვნების ორი კორიფეს ბრძოლას.

ასე გაატარეს ტურნირიდან თავისუფალი დღე ჩვენმა სტუმრებმა...

გ. ფავლენიშვილი.

სურათებზე: ჩვენი სტუმრები ჯვრის მონასტრის მიდამოებში (ზევით) და სვეტიცხოველში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

- 1 საათში—20 კმ 231 მ.
- ჯ. კლარკი — მსოფლიოს ჩემპიონი
- ჩეხოსლოვაკიის მოკრივეთა წარმატება

▲ **ჯილონგი.** ამას წინათ რ. კლარკმა აქ დაამყარა მსოფლიოს 2 ახალი რეკორდი 1-საათიან რბენაში. მაგრამ, როგორც შემდეგ დაზუსტდა, კლარკს ერთ საათში 20 კმ 223 მ კი არ გაურბენია, არამედ უფრო მეტი—20 კმ და 231 მ. თანაც, იმდენად მაღალი იყო მისი საფინიშო ტემპი, რომ ბოლო 400 მეტრზე მძლეოსანმა 64 წამი დახარჯა, ხოლო 231 მეტრზე — 37.2 წამი. კლარკის უახლოესი მიზანია საათში გაირბინოს 20 კმ და 600 მ.

სურათზე: რონ კლარკი.

▲ **ვენა.** ავსტრიის სამთო-მოთხილამურეთა ნაკრები უკვე შეუდგა თოვლზე წვრთნას. მწვრთნელებმა ჰამონმა და ზენგერმა ალპებში, სტილფრეზ იოჰის ბანაკში სავარჯიშოდ წაიყვანეს 14 ქალი და 17 ვაჟი.

▲ პრაღა. 26-30 ნოემბერს აქ გაიმართება ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელიც განიხილავს ბევრ მნიშვნელოვან საკითხს.

▲ **მეხიკო.** საავტომობილო სპორტში მსოფლიოს პირველობის ბოლო, X ეტაპი მოიგო რ. ჰინტერმა (აშშ), მაგრამ ჩემპიონის წოდება დაისაკუთრა ჯ. კლარკმა (ინგლისი), რომელმაც 54 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილებზეც ინგლისელები არიან: გ. ჰილი (40) და ჯ. სტიუარდი (33).

▲ **პრაღა.** ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის მოკრივეთა მატჩში იმარჯვეს მასპინძლებმა — 12:8.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ახალი ამბები

● **ლაიპციგი,** 1 ნოემბერი. სახელგანთქმული სპორტსმენი-ანტიფაშისტის ვერნერ ზეელენბინდერის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ტურნირში კლასიკური სტილის 4 საბჭოთა მოჭიდავე მონაწილეობდა. მათი გამოსვლა წარმატებით აღინიშნა: მათგან სამი პრიზიორთა რიცხვში აღმოჩნდა. უმჩატეს წონაში ყველას აჯობა ალმაათელმა ბაკულინმა, ქვესაშუალოში — მოსკოველმა ვერშინინმა. ამ წონით კატეგორიაში III საპრიზო ადგილი დაიკავა გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის წარმომადგენელმა ოვსიანიკოვმა. სხვა წონებში გაიმარჯვეს: გდრ-ის მოჭიდავეებმა პულსმა (მჩატე) და შნაიდერმა (ქვემსუბუქი), შვედმა ნიუსტრემმა (მსუბუქი), ბულგარელმა პეტროვმა (ქვემძიმე) და რუმინელმა მარტინესკუმ (მძიმე).

● ბუენოს-აირესი, 1 ნოემბერი. ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მძლეოსნებმა, ასე ვთქვათ, უკვე ფინიშს მიაღწიეს, სამხრეთის ნახევარსფეროში კი გაიმართა პირველი საგაზაფხულო სტარტები. ოლიმპიური თამაშების მამის — პიერ კუბერტენის ხსოვნისადმი მიძღვნილ ორდღიან ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად ჩრდილოეთიდან ბევრი სტუმარი ჩამოვიდა, რომლებიც, როგორც წესი, იმარჯვებდნენ კიდეც. ამერიკელმა თომას რანდოლფმა ყველაზე სწრაფად გაირბინა 100 მ — 10,3, ხოლო სიმაღლეზე მხტომელმა ვოლფგანგ შილკოვსკიმ (გფრ) პირველობა არავის დაუთმო (201 სმ).

● **ამსტერდამი, 1 ნოემბერი.** ცურვის ევროპულმა ლიგამ გადაწყვიტა ევროპის 1966 წლის ჩემპიონატის (უტრეხტში) პროგრამაში არ შეიტანოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ დამტკიცებული ახალი სახეობები. შეჯიბრება გაიმართება ტოკიოს ოლიმპიადის პროგრამით.

● ციურიხი, 1 ნოემბერი. ეგრეთწოდებულ ევროპის ნაკრებთან მესამე მატჩშიც გამარჯვება იაპონელთა მხარეს იყო — 285,35:279. ევროპის ნაკრებში გამოდიოდნენ ორი პოლონელი, ნორვეგიელი, ფრანგი და შვეიცარიელი ტანმოვარჯიშეები. პირად ასპარეზობაში კვლავ საუკეთესო იყო აკინორი ნაკაიამა — 57,80.

● **ბრისბენი** (ავსტრალია), 1 ნოემბერი. ამერიკელი სპორტსმენი როლანდ ჰილიერი გახდა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი საწყალოსნოსათხილამურო სპორტში. მან მოაგროვა ქულათა ყველაზე მეტი ჯამი ხტომებში, სლალომსა და ფიგურულ სეირნობაში. ხტომებში საუკეთესო აღმოჩნდა მისი თანამემამულე ლარი პენეჩო — 45,10 მ. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებმა.

ახალი ამბები

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 12908